საქართველოს პარლამენტი

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-თებერვლის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026
მარტი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 5,229.9 მლნ ლარი	67.4% 3 თვის გეგმის	17.0% წლიური გეგმის
გადასახდელები - 5,022.6 მლნ ლარი	63.6% 3 თვის გეგმის	16.3% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 207.3 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 278.6 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -10.9 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2026 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 5,229.9 მლნ ლარს, წლიური გეგმის (30,759.4 მლნ ლარი) 17.0%-ს და 3 თვის გეგმის[1] (7,757.1 მლნ ლარი) 67.4%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 978.7 მლნ ლარით (23.0%-ით) აღემატება (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის[2] კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2026 წლის 2 თვეში **გადასახდელები** 5,022.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (30,881.4 მლნ ლარი) 16.3%-ს და 3 თვის გეგმის (7,903.2 მლნ ლარი) 63.6%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 2 თვის მაჩვენებელს 746.4 მლნ ლარით (17.5%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ვალდებულებების კლების კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, შემოსავლები 63.1%-იანი მობილიზების დონით ხასიათდება, ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობები მაღალი (შესაბამისად, 95.5%-იანი და 82.0%-იანი) მაჩვენებლებით გამოირჩევა, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობების სახით კი 21.4%-ია მიღებული.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით - ხარჯები 3 თვის გეგმის 60.1%-ს შეადგენს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებს კვარტალური გეგმის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელები აქვს (შესაბამისად, 42.4% და 21.3%), ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და 90.3%-ს შეადგენს.



[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება).

[2] ვალდებულებების ზრდისა და კლების კომპონენტების მაღალი მაჩვენებლები 2026 წელს დასაფარ ევრობონდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს უკავშირდება, კერძოდ, 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, 2026 წლის იანვარ-თებერვალში 1,331.9 მლნ ლარით ვალდებულებების ზრდის შედეგად, 1,059.7 მლნ ლარი ევრობონდების დასაფარად მიიმართა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,465.7 მლნ ლარს გაუტოლდა. 2 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 207.3 მლნ ლარი შეადგინა და 2026 წლის 1-ელი მარტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,673.0 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2026 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 278.6 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -10.9 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების სახით, იანვარ-თებერვალში, 3,527.1 მლნ ლარია მობილიზებული, რაც 3 თვის გეგმის 63.4%-ს და წლიური გეგმის 15.2%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 46.0% - 70.5%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 3 თვეში 20.0 მლნ ლარი დაიგეგმა, ფაქტობრივად კი -30.3 მლნ ლარი შეადგინა. 2025 წელთან შედარებით, გადასახადები 61.2 მლნ ლარით (1.8%-ით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ყველა სახის გადასახადის (ძირითადად, საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის) მატებისა და მეორე მხრივ, სხვა გადასახადის შემცირების გავლენით.



ხარჯების მოცულობამ 2 თვეში 3,435.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 60.1% და წლიური გეგმის 14.8% შეადგინა. 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, პროცენტის მუხლით ხარჯები მაღალი მაჩვენებლით (74.5%) გამოირჩევა, სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის ანაზღაურების ხარჯები, შესაბამისად, 65.4%-ს და 60.8%-ს შეადგენს. დანარჩენი სახის ხარჯები კი დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. წინა წელთან შედარებით, ხარჯები მცირედით, 8.0 მლნ ლარით (0.2%-ით) არის გაზრდილი, ერთი მხრივ, სოციალური უზრუნველყოფის, შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯების მატებისა და მეორე მხრივ, დანარჩენი სახის ხარჯების შემცირების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 2 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა*	2026 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %%	%-ული ცვლილება წინა წლის 2 თვის ფაქტთან %
შემოსულობები	**4,251.2**	**30,759.4**	**7,757.1**	**5,229.9**	**67.4%**	**17.0%**	**23.0%**
შემოსავლები	**3,635.0**	**24,996.3**	**5,889.3**	**3,713.8**	**63.1%**	**14.9%**	**2.2%**
გადასახადები	3,465.9	23,200.0	5,567.0	3,527.1	63.4%	15.2%	1.8%
საშემოსავლო გადასახადი	1,259.9	8,221.0	2,030.0	1,430.1	70.5%	17.4%	13.5%
მოგების გადასახადი	397.5	3,200.0	945.0	434.3	46.0%	13.6%	9.2%
დღგ	1,265.7	8,744.0	2,020.0	1,370.9	67.9%	15.7%	8.3%
აქციზი	258.1	2,700.0	520.0	300.8	57.8%	11.1%	16.5%
იმპორტის გადასახადი	19.5	150.0	32.0	21.3	66.7%	14.2%	9.3%
სხვა გადასახადები	265.2	185.0	20.0	-30.3	-151.6%	-16.4%	-111.4%
გრანტები	15.5	346.3	112.4	8.0	7.1%	2.3%	-48.4%
სხვა შემოსავლები	153.6	1,450.0	209.9	178.8	85.2%	12.3%	16.4%
არაფინანსური აქტივების კლება	**17.4**	**200.0**	**40.0**	**8.5**	**21.4%**	**4.3%**	**-51.0%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**143.5**	**500.0**	**65.0**	**62.1**	**95.5%**	**12.4%**	**-56.7%**
ვალდებულებების ზრდა	**455.3**	**5,063.1**	**1,762.7**	**1,445.5**	**82.0%**	**28.5%**	**217.5%**
საშინაო	370.8	1,800.0	231.0	34.5	14.9%	1.9%	-90.7%
საგარეო	84.5	3,263.1	1,531.7	1,410.9	92.1%	43.2%	1570.3%
გადასახდელები	**4,276.2**	**30,881.4**	**7,903.2**	**5,022.6**	**63.6%**	**16.3%**	**17.5%**
ხარჯები	**3,427.3**	**23,267.6**	**5,712.4**	**3,435.3**	**60.1%**	**14.8%**	**0.2%**
შრომის ანაზღაურება	452.1	3,420.3	821.0	498.8	60.8%	14.6%	10.3%
საქონელი და მომსახურება	315.5	2,681.5	651.0	321.2	49.3%	12.0%	1.8%
პროცენტი	476.7	1,818.0	598.8	445.9	74.5%	24.5%	-6.5%
სუბსიდიები	128.0	1,047.3	267.0	122.9	46.0%	11.7%	-4.0%
გრანტები	203.4	2,032.4	344.7	119.1	34.5%	5.9%	-41.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,403.8	9,324.2	2,334.1	1,525.5	65.4%	16.4%	8.7%
სხვა ხარჯები	447.9	2,944.0	695.9	402.0	57.8%	13.7%	-10.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**507.2**	**4,044.0**	**702.3**	**298.0**	**42.4%**	**7.4%**	**-41.2%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**124.1**	**650.0**	**78.7**	**16.7**	**21.3%**	**2.6%**	**-86.5%**
ვალდებულებების კლება	**217.6**	**2,919.8**	**1,409.8**	**1,272.6**	**90.3%**	**43.6%**	**484.8%**
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.1	0.6%	0.2%	15.1%
საგარეო	217.5	2,879.7	1,399.7	1,272.5	90.9%	44.2%	484.9%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**-25.0**	**-122.0**	**-146.2**	**207.3**			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება № 30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 2 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 2 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 2 თვის ფაქტთან %
შემოსავლები	**3,635.0**	**24,996.3**	**5,889.3**	**3,713.8**	**63.1%**	**14.9%**	**2.2%**
გადასახადები	3,465.9	23,200.0	5,567.0	3,527.1	63.4%	15.2%	1.8%
გრანტები	15.5	346.3	112.4	8.0	7.1%	2.3%	-48.4%
სხვა შემოსავლები	153.6	1,450.0	209.9	178.8	85.2%	12.3%	16.4%
ხარჯები	**3,427.3**	**23,267.6**	**5,712.4**	**3,435.3**	**60.1%**	**14.8%**	**0.2%**
შრომის ანაზღაურება	452.1	3,420.3	821.0	498.8	60.8%	14.6%	10.3%
საქონელი და მომსახურება	315.5	2,681.5	651.0	321.2	49.3%	12.0%	1.8%
პროცენტი	476.7	1,818.0	598.8	445.9	74.5%	24.5%	-6.5%
სუბსიდიები	128.0	1,047.3	267.0	122.9	46.0%	11.7%	-4.0%
გრანტები	203.4	2,032.4	344.7	119.1	34.5%	5.9%	-41.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,403.8	9,324.2	2,334.1	1,525.5	65.4%	16.4%	8.7%
სხვა ხარჯები	447.9	2,944.0	695.9	402.0	57.8%	13.7%	-10.3%
საოპერაციო სალდო	**207.7**	**1,728.7**	**176.9**	**278.6**	**157.5%**	**16.1%**	**34.1%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**489.8**	**3,844.0**	**662.3**	**289.5**	**43.7%**	**7.5%**	**-40.9%**
ზრდა	507.2	4,044.0	702.3	298.0	42.4%	7.4%	-41.2%
კლება	17.4	200.0	40.0	8.5	21.4%	4.3%	-51.0%
მთლიანი სალდო	**-282.1**	**-2,115.3**	**-485.4**	**-10.9**	**2.3%**	**0.5%**	**-96.1%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-44.4**	**28.0**	**-132.4**	**162.0**	**-122.3%**	**577.6%**	**-464.8%**
ზრდა	**124.1**	**650.0**	**78.7**	**224.0**	**284.6%**	**34.5%**	**80.6%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	207.3			
სესხები	36.9	632.6	78.7	16.7	21.3%	2.6%	-54.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	0.0	0.0		0.0%	-100.0%
კლება	**168.5**	**622.0**	**211.2**	**62.1**	**29.4%**	**10.0%**	**-63.2%**
ვალუტა და დეპოზიტები	25.0	122.0	146.2	0.0	0.0%	0.0%	-100.0%
სესხები	143.5	500.0	65.0	62.1	95.5%	12.4%	-56.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
ვალდებულებების ცვლილება	**237.7**	**2,143.3**	**352.9**	**172.9**	**49.0%**	**8.1%**	**-27.3%**
ზრდა	**455.3**	**5,063.1**	**1,762.7**	**1,445.5**	**82.0%**	**28.5%**	**217.5%**
საშინაო	370.8	1,800.0	231.0	34.5	14.9%	1.9%	-90.7%
საგარეო	84.5	3,263.1	1,531.7	1,410.9	92.1%	43.2%	1570.3%
კლება	**217.6**	**2,919.8**	**1,409.8**	**1,272.6**	**90.3%**	**43.6%**	**484.8%**
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.1	0.6%	0.2%	15.1%
საგარეო	217.5	2,879.7	1,399.7	1,272.5	90.9%	44.2%	484.9%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი